ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №16 (7093) 15 აგვისტო 2023 წელი

ტკივილიან-ცრემლიანი აგვისტო...

დიდად სამწუხაროა, რომ ჩვენი სამშობლოს უახლოეს ისტორიაში არაერთმა ტრაგიკულმა ტკივილიან-ცრემლიანმა დღეებმა დაიმკვიდრა ადგილი...

გაზეთ „თერჯოლის“ ფეისბუქ-პოსტი, რომელიც გამოქვეყნდა შოვის ტრაგედის გლოვის დღეს, 7 აგვისტოს

დამწუხრებულია სრულიად საქართველო...

ამ ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიდგეთ, ვიდგეთ თანადგომისათვის, ვიდგეთ მაღალი პასუხისმგებლობით დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობების თუ მოქალაქეობრივი ვალდებულებების შესასრულებლად...

გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს...

საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილები...

ჩვენი გულწრფელი სამძიმარი ყველა დაღუპულის ახლობელსა და ნათესავს, მეგობარს...

გაზეთი „თერჯოლა“

ამ მხრივ, ისტორიის კალენდრის ფურცლებზე, განსაკუთრებულად გამორჩეული გახდა აგვისტოს თვეც...

თითქოს ის არ გვკმაროდა, 15 წლის წინ—2008 წლის აგვისტოში რომ დაგვემართა, როცა რუსეთ-საქართველოს ომის გამო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% დავკარგეთ და ათეულობით ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე რომ დაგვეღუპა...

აგერ ახლახანს, 3 აგვისტოს, მოულოდნელად კიდევ ერთი ბუნებრივი კატასტროფა დაგვატყდა თავს...

კურორტი შოვი, რომლითაც ასე ვამაყობდით, კავკასიონის მყინვარების დნობით წარმოქმნილი უზარმაზარი მოცულობის ღვარცოფის მსხვერპლი გახდა. 5 მლნ. კუბური მეტრი მოცულობის მოვარდნილმა მასამ მთლიანად დაფარა შოვის კოტეჯების დასახლება, გაანადგურა შენობა-ნაგებობები, ხიდ-ბოგირები, სხვა ინფრასტრუქტურა და რაც ყველაზე სამწუხაროა 14 აგვისტოს მდგომარეობით დაგვეღუპა 24 ადამიანი, დღემდე უზგო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 9.

ხალხის გადასარჩენად და დაკარგულთა მოსაძებნად დღემდე თავგანწირვით იბრძვიან ქართველი მაშველები, მეხანძრეები, ჯარისკაცები, რეზერვისტები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და მოხალისეები...

მათთან ერთად არიან წარმომადგენლები ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, რომელთა შესახებ ჩვენს მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

შოვის ტრაგედიის გამო, 7 აგვისტო, მთელს ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა...

კიდევ ერთხელ გვინდა გამოვხატოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი წუხილი და გულისტკივილი ამ ეროვნული ტრაგედიის გამო და მივუსამძიმროთ დაღუპულთა ოჯახებს, ახლობელ-ნათესავებს, მეგობრებს, სრულიად საქართველოს...

ლაშა გოგიაშვილის სახელობისა...

მან ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით იცხოვრა...

ბევრი კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა თერჯოლისა და თერჯოლელების სასიკეთოდ...

ბევრი განახორციელა კიდეც, მაგრამ ბევრიც არ დასცალდა...

ახალ სკვერს, რომელიც ქალაქ თერჯოლაში, მიმდინარე წლის 28 ივლისს საზეიმოდ გაიხსნა, თერჯოლელების მოთხოვნით მისი სახელი მიენიჭა, რაც საზოგადოებისაგან ამ ახალგაზრდა კაცის მიმართ მადლიერების ერთგვარი სიმბოლური გამოხატვაა.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ლაშა გოგიაშვილის სახელობისა...

1☞

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტრაგიკულად გარდაცვლილი მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერი გაიხსნა.

ეს საპატიო მისია, რომელიც აწ გარდაცვლილ მერს უნდა შეესრულებინა მის შვილს გიორგი გოგიაშვილს ხვდა წილად.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განახლებულ ამ ახალ სივრცეში, იმ დღეს მსმენელთა წინაშე ადგილობრივი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები წარსდგნენ.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრები: **მამუკა მდინარაძე, ირაკლი კობახიძე, პაატა კვიჟინაძე, ზაზა ლომინაძე, გივი ჭიჭინაძე,** ასევე საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატი **ბეჟან წაქაძე,** იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული **ზვიად შალამბერიძე,** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანი** და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

სტუმრებს სიტყვით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, **მანუჩარ რობაქიძემ** და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში ახალი რეკრეაციული სივრცე და ამფითეატრი მოეწყო, რომელსაც ტრაგიკულად გარდაცვლილი მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელი მივანიჭეთ. მისი ინიციატივით თერჯოლას ბევრი პროექტი დარჩება. მჯერა ამ წარმატებით ის აუცილებლად იამაყებდა. ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, ღირსეულად განვახორციელოთ მისი მერობის პერიოდში დაწყებული ყველა პროექტი, მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, ლაშას ოჯახს, მეგობრებს და

გულშემატკივრებს ღონისძიებაში აქტიური ჩართულობისთვის. ამასთან, მინდა აღვნიშნო ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც საქართველოს მთავრობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ასევე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულიდან ვგრძნობთ.“

პროექტის ფარგლებში , 6 000 კვადრატულ მეტრ სივრცეში ამფითეატრის სცენა, დეკორატიული პერგოლა, დასასვენებელი სკვერი, საფეხმავლო ბილიკები, გამწვანება, ღამის სანათები, ფანჩატური და ძელსკამები მოეწყო.

ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებს და ასფალტო-ბეტონის საფარს. პროექტი 2022 წლის აგვისტოში დაიწყო, რომლის ღირებულება 1 202 000 ლარია. სამუშაოები, რომელიც საერთო შეფასებით კარგად შესრულდა შპს „ქისტოუნ გრუპმა“ განახორციელა.

გარდა ამისა, სრგიპ ფონდის დაფინანსებით, წარმატებით ხორციელდება სოფელ ძევრში, მდ. ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონის მოწყობა და ქალაქ თერჯოლაში №3 საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ღონისძიებას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად, იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.

2008 წლის აგვისტოს ომიდან 15 წელი შესრულდა

8 აგვისტოს, ამ ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშები დაშვებული იყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ შენობაზე.

ამ დღეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილთან და ჯემალ ისაკაძესთან, ასევე ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან ერთად აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ მებრძოლებს პატივი მიაგო და გმირთა მემორიალები და საფლავები გვირგვინებით შეამკო.

სასულიერო პირებმა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს, გმირთა მემორიალებზე ოჯახის წევრები და მეგობრები იმყოფებოდნენ, სადაც მათი გმირობის ისტორიებიც გაიხსენეს.



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში თერჯოლიდან 5 მებრძოლი დაიღუპა: ვალერი გოგნაძე, უშანგი სოფრომაძე, გიგა სახელაშვილი, ბადრი ბასილაძე და ალია ბარდაველიძე. მერის ინიციატივით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათ ოჯახებს ფულადი დახმარება გადაეცათ.

დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშები დაშვებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ შენობებზე.

გმირთა მემორიალზე ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ვეტერანთა უწყების რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომელი, ომის ვეტერანი გიორგი ლილუაშვილი, საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომელი, მერიის სამსახურები, საკრებულოს წევრები და მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

აქვე გთავაზობთ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ომში დაღუპილი გმირების სურათებს ზემოდან ქვემოთ: **ალია ბარდაველიძე, ბადრი ბასილაძე, გიგა სახე-ლაშვილი, უშანგი სოფრომაძე, ვალერი გოგნაძე.**

დიდება მათ სახელებს!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დავით გოგბერაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" თავმჯდომარის მოადგილის ამირან ვერულაშვილის ხსოვნას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი 5 საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს .თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (შპს „მზეკაბანი 2007"-სთვის მიქირავებული არასაცხოვრებელი ფართის ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 მ². 7 (შვიდი) ლარის ოდენობით).

გარდა ამისა, მხარდაჭერილია საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლის ეკა ბერძენიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

ასევე მოისმინეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია და ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2022 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე განეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, იურიდიულ საკითხთა კომისიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა" და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

დღევანდელ სხდომას მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საზაფხულო ბანაკები ახალგაზრდობისათვის...

სხვადასხვა აქტივობებით, ლაშქრობებით, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით დატვირთულ თავასის ბანაკში ახალგაზრდები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით მონაწილეობდნენ.

ბანაკის დახურვის ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი შეუერთდნენ.

„ჩვენთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდული მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება და ხელშეწყობა. მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის როლისა და მნიშვნელობის, ასევე ტურიზმის მიმართულებით მიმდინარე, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ. აქტიურად ჩაერთნენ პრეზენტაციებსა და შემეცნებით აქტივობებში. მსგავსი ტიპის პროექტები ახალგაზრდების გაცნობა-დამეგობრებას, ასევე შიდა ტურიზმის პოპულარიზაციას და დროის საინტერესოდ გატარებას უზრუნველყოფს"—განაცხადა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

როგორც ბანაკის მონაწილემ, ნიკოლოზ ჭუმბურიძემ აღნიშნა: „საზაფხულო ბანაკში პირველად ჩავერთე, აქ პოზიტიური და მეგობრული გარემო დაგვხვდა. ყოველი დღე ინტელექტუალური, გასართობი, სპორტული, გუნდური აქტივობებით იყო დატვირთული და რაც მთავარია შევიძინე ძალიან ბევრი მეგობარი."

ღონისძიების დასასრულს, ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელმა, სოფიო ბუსკივაძემ თითოეულ მონაწილეს შესაბამისი სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

„ახალგაზრდული ბანაკი 2023" ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, სოფელ თავასის საჯარო სკოლის ეზოში მოეწყო.

წელს წარმატებული თერჯოლელი ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა, საზაფხულო დასვენების გარკვეული დღეები ორ საზაფხულო ბანაკში გაატარა.

ერთი ბანაკი სოფელ თავასის საჯარო სკოლაში უშუალოდ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ იყო ორგანიზებული, მან მუშაობა უკვე დაასრულა.

ასევე დაასრულა მუშაობა მეორე ბანაკმა, რომელიც ანაკლიაში მუნიციპალიტეტის ჩართულობით მოაწყო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ.

მხარდაჭერა ბავშვიან ოჯახებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, ოთხ ბენეფიციარს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცა.

რამდენიმე ოჯახში, პირადად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დავით გოგბერაშვილთან ერთად იმყოფებოდა, ბენეფიციარებს გაესაუბრა და სამომავლოდ კვლავ გვერდით დგომას დაჰპირდა.

ამ მიმართულებით, შემოსულ განცხადებებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება განიხილავს. ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის ფარგლებში, ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, გაზქურა, მაცივარი და სარეცხი მანქანა გადაეცემათ.

პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების გაძლიერება, სამიზნე ჯგუფს დაეხმაროს სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

სამუშაო შეხვედრას, ბარდუბნისა და ეწრის მაჟორიტარი დეპუტატი, გოჩა ვერულაშვილი, საკრებულოს წევრი, კობა კაცაძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი, ლაშა ლანჩავა, ასევე ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომელი, ნინო ხუჯაძე ესწრებოდნენ.

შემაჯამებელი გამოფენა სამხატვრო სკოლაში

სასწავლო წლის დასასრული მუნიციპალიტეტის ყველა სასწავლო-სააღმზრდელო და სახელოვნებო დაწესებულებებში: სკოლებში, ბაგა-ბაღებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრსა თუ სამუსიკო და სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლებში ლამაზი ღონისძიებითა და სხვადასხვა სახის აქტივობებით აღინიშნა. ასე განეშორენ დროებით აღსაზრდელები და მათი აღმზრდელები ერთმანეთს და საზაფხულო არდადეგების მხიარულ გართობა-დასვენების რეჟიმში გადაინაცვლეს...

თუ როგორი იყო სასწავლო წლის დასასრული სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლაში ამ სტატიიდან შეიტყობთ, რომელსაც ისე მოხდა, რომ მოგვიანებით გთავაზობთ.

საზეიმო და შთამბეჭდავია სამხატვრო სკოლაში მოწყობილი ყოველი გამოფენა. ასე იყო ამჯერადაც. 2023 წლის შემაჯამებელი გამოფენა, რომელიც ტრადიციულად ამაღლებული განწყობითა, დამთვალიერებელთა ინტერესითა და მოლოდინით გაიხსნა.

სკოლის საგამოფენო დარბაზში ხალხმრავლობაა. შეკრებილთა შორის არიან ხელოვნების მოყვარული ახალგაზრდობა, განათლებისა და კულტურის სფეროს მუშაკები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მოსწავლეთა მშობლები, ახლობლები...

დიახ, „ოქროს პალიტრისა", არაერთი გრანპრისა და მრავალი სხვადასხვა პრიზის, მედლის, დიპლომისა თუ სიგელების მფლობელი, ანუ სხვადასხვა წლებში ქვეყნის მასშტაბით გამორჩეული სკოლის მიმართ, სადაც უამრავი ახალგაზრდის სამომავლო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი და მათი მომავალი აქ მიღებულმა გაკვეთილებმა განსაზღვრა, ინტერესი ნამდვილად დიდია...

მრავალფეროვნებითა და სიმრავლით გამოირჩევა შემაჯამებელი გამოფენა, აქ თითქმის ყველა მოსწავლის ნამუშევარია წარმოდგენილი, რომელთა ჩანაფიქრისა და შესრულების ხარისხი სახეზეა.

კედლებიდან ლამაზად განლაგებული ფერწერის, გრაფიკისა და ა.შ. ნიმუშები მეტყველებს იმაზე, რომ აქ, ამ სკოლაში თერჯოლელი მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან ქართული ხელოვნების საფუძვლებს, საინტერესოდ და მიზანმიმართულად ატარებენ დროს. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი ამისათვის. ხელოვნებაზე, ბავშვებზე, თავიანთ საქმეზე უზომოდ შეყვარებული სკოლის დირექტორი თამარ ღარიბაშვილი და პედაგოგები, რომლებიც თავის დროზე თავადაც ამ სკოლაში არიან აღზრდილები: ეკა რიჟამაძე, დარეჯან გოგბერაშვილი, ნინო ჩხიკვაძე და თამთა მაჭარაშვილი, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თითოეულ აღსაზრდელში აღმოაჩინონ, თუნდაც მარცვალი ნიჭიერებისა და ხელი შეუწყონ შემდეგ მის განვითარებასა და გაღრმავებას...

როგორც ქალბატონი თამარი აღნიშნავს ხოლმე, ყველა ახალი

თაობა ახალი ნიჭიერი, ხატვის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებით მოდის, რომ მუშაობა, ძალიან მალე კარგ შედეგს იძლევა. ასე მოხდა ამჯერადაც.

თამარ ღარიბაშვილი მადლობას გამოხატავს საგამოფენო დარბაზში შეკრებილი დამთვალიერებლის მისამართით და შემაჯამებელი გამოფენის გახსნას ულოცავს თითოეული ნამუშევრის ავტორს, პედაგოგებსა და მათ გულშემატკივრებს.

წლის შემაჯამებელ გამოფენას, რომელიც ამ სასწავლო წელს რიგით მეხუთეა, როგორც ყოველთვის, ბუნებრივია, უკავშირდება სკოლის კურსდამთავრებულთა გაცილება. ქალბატონი თამარი დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის მერს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს აცნობს იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ღირსეულად გაიარეს სწავლისა და პრაქტიკული მუშაობის წლები, არაერთ გამოფენასა თუ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და ყველას თავი დაამახსოვრეს ხელოვნების ამ დარგისადმი სიყვარულით, ნიჭიერებით და პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. ხატია ბუცხრიკიძეს, მარიამ ცერცვაძეს და ნინო მარუაშვილს სამხატვრო სკოლის სრული კურსის დამთავრების მოწმობებს სკოლის დირექტორთან ერთად გადასცემს მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი მანუჩარ რობაქიძე, რომელიც უერთდება საზეიმო განწყობას და მორიგი შემაჯამებელი ვერნისაჟის გახსნას ულოცავს სკოლასა და კურსდამთავრებულებს.

მუნიციპალიტეტის მერი პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავს სამხატვრო სკოლის დირექციის, მასწავლებლებისა და აღსაზრდელებისადმი გაწეული მუშაობისა და მიღწეული თვალსაჩინო შედეგებისათვის, იგი მუდმივ თანადგომას და დახმარების ხელს უწვდის სამომავლოდაც...

წლის შემაჯამებელ გამოფენაზე სკოლა მუსიკალურ ნომრებსაც სთავაზობს დამთვალიერებლებს, ამჯერად ღონისძიებას თავიანთი სიმღერით ალამაზებენ პატარა მომღერლები სამხატვრო სკოლის აღსაზრდელები მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასელები: ქრისტინე და მარიამ ბუცხრიკიძეები, რაფაელ კეზევაძე, მაკო ბუცხრიკიძე, ლიზი დევიძე.

დასასრულს თამარი მადლობას უხდის თითოეულ ადამიანს, რომლებიც მოვიდნენ და დაათვალიერეს სკოლის აღსაზრდელთა ნამუშევრები, რომლებიც მუდმივად ინტერესდებიან სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა მიღწევებით, ამით ზრდიან მოტივაციას და უცხადებენ თანადგომას. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, რომელთა დახმარება არის ძალიან თვალსაჩინო და ხელს უწყობს სკოლაში მიმდინარე წარმატებულ საქმიანობას.

მზია ცქიფურიშვილი

ფესტივალი „თეატრალური იმერეთი—2023“



მე-14 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „თეატრალური იმერეთი—2023“-ის დღეები (13 ივნისი-1ივლისი) ლამაზ მოგონებად დარჩება თითოეული იმ ადამიანის მეხსიერებაში, რომელთაც ჰქონდა ბედნიერება თვალი ედევნებინა ქ. ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრში იმერეთის მუნიციპალიტეტის თეატრალური კოლექტივების წარმოდგენილ სპექტაკლებისათვის.

საინტერესო, დასამახსოვრებელი და ემოციურად დატვირთული სპექტაკლებით გამორჩეულმა ფესტივალმა, რომელიც ხორციელდება იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და იმერეთის თეატრალური საზოგადოების, ასევე რეგიონის თორმეტივე მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, წელს მეთოთხმეტედ მიანიჭა სიამოვნება თეატრის მოყვარულებს.

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2023 წლის 13 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა მესხიშვილის თეატრში. შეკრებილ საზოგადოებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ მიმართა და წარმატებული სეზონი უსურვა.

ფესტივალის გახსნას მისი ორგანიზატორები, მხარდამჭერები, მონაწილე თეატრალური კოლექტივები და სხვა თეატრალური ხელოვანებით დაინტერესებული მაყურებლები დაესწრნენ. აღინიშნა ფესტივალის უდავოდ დიდ მნიშვნელობაზე, მონაწილე სახალხო და სახელმწიფო პროფესიული თეატრების პასუხისმგებლობითა და პროფესიული ოსტატობის, მომზადებულ სპექტაკლებზე, მონაწილე მსახიობებზე. ითქვა მაყურებლებზეც, რომელთა როლიც ძალიან მნიშვნელოვანია სპექტაკლის წარმატებაში და არის კიდევ ერთი უდავოდ საინტერესო—თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მონაწილეა, ფრენკ მაკგინესის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით „ფაბრიკის გოგონები“ შეუერთდა.

სპექტაკლის რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მამუკა ცერცვაძეს, მხატვარი—თემურ აბულაძეა.

როლებს ასრულებდნენ: ელენი—სოფო ბუსკივაძე, ვერა—ეკა მაკარიძე, უნა—ლელა ამირანაშვილი, როზმარი—ლიზი მეფარიძე, რებეკა—ელა შოთაძე, როჰანი—დიმა არეშიძე, ბონერი—ზურა რობაქიძე.

სამკერვალო ფაბრიკის ყოველდღიურობად ქცეული რუტინული შრომა, სათანადო ანაზღაურების გარეშე... დამელიც ყოველ მოქმედებას საკუთარ თავზე იღებს და გადაწყვეტილიც აქვს, რომ ბოლომდე იბრძოლოს, მეგობრებს არჩევანს სთავაზობს თუ სურთ მათ წავიდნენ სახლებში და ბრძოლა მიატოვონ...

ბოლოს მაინც ისე ხდება, რომ საერთო ტკივილისა და მდგომარეობაში მყოფი ადამიანები საერთო ენას პოულობენ და საერთო პრობლემების დაძლევის გზას ერთად ბრძოლაში ხედავენ...

ფინალი ამაღელვებელია, გამოსავალი მოძებნილია...

დგება გადამწყვეტი წუთი, რომელსაც გულგრილად ვერავინ მოისმენს...

მოყვარულებს ორი კვირის განმავლობაში აქვთ შესაძლებლობა სპექტაკლზე თავისუფალი დასწრებით ნახონ სხვადასხვა მუნიციპალური თეატრალური დასების სპექტაკლები, იმსჯელონ, იფიქრონ და ცხოვრებისეული პრობლემებით გაჯერებული ყოფის დღეები გაილამაზონ. თეატრის კულტურა ხომ უმაღლესი კულტურაა ხალხისა, როგორც დიდი რეჟისორი, მსახიობი და მოაზროვნე სანდრო ახმეტელი იტყოდა, იგი მასთან ერთად ჰყვავის, ფრთებს ისხამს, იღუპება ერის დაცემასთან ერთად. ეს სიტყვები ხომ მარადიული შეხსენებაა იმისა, რომ განუსაზღვრელად დიდია ხელოვნების, ამ უმშვენიერესი დარგის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში...

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიერ რეჟისორ ნინო მაღლაკელიძის სპექტაკლი „ტესტოსერონი“, ასევე იმერეთის ყველა სხვა მუნიციპალიტეტის თეატრალური კოლექტივების, აგრეთვე იტალიის ქალაქ ნაპოლის ექსპერიმენტული და აზერბაიჯანის სახელმწიფო თეატრების სპექტაკლები.

მეთოთხმეტე თეატრალურ ფესტივალს „იმერეთი 2023“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი, რომელიც ყველა სეზონის ერთ-ერთი საქმებული გოგონების მძიმე ყოფითი და შრომის პირობები, სოციალური პრობლემები, სამუშაოს გარეშე დარჩენის შიში, სტრესი, ნერვიულობა, ამბოხებაში გადაზრდილი უფლებებისათვის ბრძოლა, ხელფასის მომატების მოთხოვნა და ფაბრიკის მესვეურთა მხრიდან დასაქმებულთა შემცირების შეთავაზება, გოგონები არ ემორჩილებიან შეთავაზებულ პირობებს. ამბოხებულები ფაბრიკის სამუშაო ოფისს იკავებენ, ფიქრობენ, რომ რაღაც დრო ვერ აიძულებენ აქედან გაყვანას, ისევ და ისევ დაჟინებით ითხოვენ უკეთეს სამუშაო პირობებს... გოგონების ტკივილი, დარდი და ნერვიულობა, გაფიცულთა არანორმალურ პირობებში ცხოვრება კი ფაბრიკის მესვეურთ არ ანაღვლებს... მამაოსაც ესაუბრნენ დახმარების მიზნით, თუმცა მისგან მიღებული პასუხი სახლებში წავიდნენ და მადლიერება ილოცონ, რომ სამუშაო აქვთ კიდევ უფრო ამძაფრებს უიმედობის განცდას.

„ღვთისგან მიტოვებულ ფაბრიკაში“, რომ ყველაფერი რიგზე არ არის ანუ მის მეპატრონეთ მიერ კეთილსინდისიერება უგულვებელყოფილია უკვე აშკარაა, ფაბრიკა დახურვის საშიშროების წინაშეა.

ახლა გოგონები მსჯელობენ იმაზე, რომ მათი, ანუ მეამბოხეთა პროტესტი რამდენად სწორი და გამართლებულია.

ელენი (სოფო ბუსკივაძე) რომ ყველანი ერთხმად ირჩევენ ბოლომდე ბრძოლისა და თავისუფლების გზას...

ასეთია მოკლე ფაბულა სპექტაკლისა, პიესის მთავარი სათქმელი კარგად იქნა მიტანილი მაყურებლამდე... პრემიერა წარმატებით შედგა, აპლოდისმენტებს, მილოცვებს, ყვავილებს ბოლო არ უჩანდა... ეს ყველაფერი მათ ნამდვილად დაიმსახურეს. ნიჭიერმა რეჟისორმა, მამუკა ცერცვაძემ, კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იგი ყოველთვის დროისა და სიტუაციისათვის საჭირო და მნიშვნელოვან სათქმელს სწორედ სპექტაკლებით ამბობს. სპექტაკლში მონაწილე მსახიობთაგან რამდენიმე დებიუტანტია, თუმცა თითოეულმა მათგანმა ძალიან კარგად გაართვა თავი თავიანთ როლს, რაც კი სწორედ რეჟისორის დამსახურებაა, დიდი შრომითა და ძალისხმევით მიიღწევა...

თერჯოლელთა სპექტაკლს მესხიშვილის თეატრში დაესწრო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან, აგრეთვე საკრებულის თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ნინო ჩხიკვაძესთან და ჯემალ ისაკაძესთან და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

1 ივლისს ფესტივალის შედეგების შეჯამება-გამოცხადებას ინტერესით ელოდა, როგორც თითოეული თეატრალური კოლექტივი, ასევე მათი გულშემატკივარ-მაყურებელიც.

ჟიურის გადაწყვეტილება კი ასეთია:

—საუკეთესო სპექტაკლად და ფესტივალის გრამპრის მფლობელი—„უსამშობლო კაცი“, რეჟისორი მარიამ სიხარულიძე (ტყიბულის სახალხო თეატრი);

—საუკეთესო რეჟისურა—რეჟისორი ირინე ჩხეიძე „გოდოს მოლოდინი (ხარაგაულის სახალხო თეატრი);

—საუკეთესო სცენოგრაფია—მამუკა ტყეშელაშვილი „სამანიშვილის დედინაცვალი“ (წყალტუბოს სახალხო თეატრი) და „ბინა“ (ბაღდათის სახალხო თეატრი);

—საუკეთესო მუსიკალური გაფორმება—„ვალი“ (ვანის სახალხო თეატრი);

—ქალის მთავარი როლი—ირინე ჩხეიძე „გოდოს მოლოდინი“ (ხარაგაულის სახალხო თეატრი);

—მამაკაცის მთავარი როლი—გიგა ბუბუტეიშვილი „ვალი“ (ვანის სახალხო თეატრი);

—საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცი—მსახიობი გიგა აბულაძე, „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ (სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი);

—საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი—ლიზი მეფარიძე „ფაბრიკის გოგონები“ (თერჯოლის სახალხო თეატრი);

—ქალის ეპიზოდური როლი—მარიამ მელაძე „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“ (ხონის სახალხო თეატრი);

—საუკეთესო მამაკაცის ეპიზოდური როლი—ზურაბ ყურაშვილი „სამანიშვილის დედინაცვალი (წყალტუბოს სახალხო თეატრი);

—ფესტივალის აღმოჩენა—საჩხერის სახალხო თეატრი „მრგვალი და მახვილი თავები“;

—ჟიურის სპეციალური პრიზი—სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი, „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“.

თერჯოლელთა სპექტაკლებს, ისე როგორც თეატრალურ ფესტივალს, ყოველთვის ჰყავს მრავალრიცხოვანი მაყურებელი, იმ დღეს კი, როდესაც მესხიშვილის თეატრში ჩვენი სპექტაკლი გადიოდა, სპექტაკლის ნახვის ყველა მსურველი დარბაზმა ბევრი დაიტია, ამიტომ სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა თერჯოლის კულტურის სახლის სცენაზე ჰქონდათ მაყურებლებს—მას შემდეგ, რაც ფესტივალის შედეგები უკვე გაცხადებული იყო.

როგორც კულტურის სახლის დირექტორმა ქალბატონმა ლია ბუსკივაძემ აღნიშნა, ჩვენს თეატრალურ დასს, ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა წლებში თითქმის ყველა ნომინაციაში აქვს ჯილდო მიღებული. იყო წლები, როცა 3 და 4 ნომინაციაც მოუგიათ, მიუხედავად იმისა, რომ დასში არც ერთი პროფესიონალი მსახიობი არ ჰყავთ, სხვა თეატრალური კოლექტივებისაგან განსხვავებით, თუმცა ტოლს არავის უდებენ. წლევანდელი ჯილდო კი დასის სულ ახალგაზრდა წევრს, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეს, ლიზი ნეფარიძეს ხვდა წილად, ნომინაციაში საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი.

ქალბატონმა ლიამ მადლიერება გამოხატა მუნიციპალური ხელისუფლების მისამართით სპექტაკლის მომზადებაში თანადგომისა და გაწეული დახმარებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ თერჯოლელი სცენის მოყვარულებისათვის და კულტურის სახლის მუშაკებისთვის დიდი პატივი იყო მუნიციპალიტეტის მერთან მანუჩარ რობაქიძესთან შეხვედრა, რომელმაც მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, ვინც ამ სფეროში თავიანთი საქმიანობით იღწვიან მათზე მინდობილი საქმის პროფესიულ დონეზე შესასრულებლად. განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ფესტივალში მონაწილე თეატრალური დასის წევრთა მისამართით, რომლებმაც კარგი სპექტაკლი აჩვენეს და მაყურებელთა მოწონებაც დაიმსახურეს. შეხვედრაზე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით, ფესტივალზე ნომინაციაში „საუკეთესო ახალგაზრდა ქალი“ გამარჯვებულ ლიზი ნეფარიძეს მერის მიერ ფულადი ჯილდო გადაეცა.

მერმა მომავალშიც წარმატებული საქმიანობა უსურვა თეატრალურ დასს და მხარდაჭერასა და დახმარებას დაპირდა. ისაუბრა აგრეთვე სამომავლო გეგმებზე, რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა კულტურული პროექტების წარმატებას განაპირობებს.

მზია ცქიფურიშვილი

„მე პატარა ვარ, გავიზრდები, კვლავ დავმშვენდები“

თორმეტი წლის წინ, ნაგარევის საჯარო სკოლაში, მითხრეს, რომ მე-5 კლასის მოსწავლე მარიამ მარგველაშვილი კარგ ლექსებს წერსო. გამოგვიგზავნეთ—თქო, ვუთხარი მასწავლებელს, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, მარიამის ლექსებს დიდი ინტერესით არ დავლოდებივარ.

გამოაგზავნეს ლექსები და მერე როგორი. ძალიან მალე მარიამმა ლექსების კრებული გამოაქვეყნა. მადლიერმა წიგნი მაჩუქა და ეს პატარა წიგნი დღესაც მაგიდის უჯრაში მიდევს, დროდადრო ვკითხულობ, ზოგი ზეპირად ვიცი. ახლახან ჩემთვის საყვარელი მისი ლექსების კითხვისას, გადავწყვიტე გამეგო რა მოხდა მარიამის ცხოვრებაში 13 წლის შემდეგ, ვინ არის ახლა უკვე 24 წლის მარიამი „მე პატარა ვარ, გავიზრდები, კვლავ დავმშვენდები“-ო წერდა ერთ ლექსში და ვნახოთ, როგორ „დამშვენდა“ მარიამი და მისი ლექსი. მანამდე კი ძველი სტრიქონები გავიხსენოთ, 11 წლის ასაკში დაწერილი „მე ყვავილი ვარ, გულყვითელა თეთრი თვალებით, მე ყვავილი ვარ მზეთუნახავი, ლამაზ ბაბთებით“, „კვირტმა გაშალა ლამაზი, კაბა ვარდისფერფარფაშა“, „ალვის ხეებს აუჯანყდნენ ფოთლები“, „ვარსკვლავი დადებულა მთაზე, ცისფერი ღამეა ცაზე“, „სისხლიც შენა ხარ, ჯიშიც შენა ხარ“, „ღმერთი ერთია, სამშობლოც ერთია, ღვთისმშობლის თვალი, იმედი, რვალი“, „მზე გუგუნით მოდიოდა, ჩრდილებს ფენდა გზად თელა“...

საჯარო სკოლა, „ურიცხვი“ სიგელი და სერთიფიკატი

ლიტერატურულ კონკურსში „ქალი სამზარეულოს ატრიბუტი თუ...“ აიღო პირველი ადგილი (2013 წელი), რესპუბლიკურ 68-ე, 69-ე, 70-ე კონფერენციის სხვადასხვა სექტორში გამარჯვებულად გამოცხადდა (2014, 2015, 2016 წ). ლიტერატურულ კონკურსში დაჯილდოვდა დიპლომით „საუკეთესო მხატვრული ხედვა“ (2014 წ), სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაზე აიღო სერთიფიკატი (2015). ნორჩ შემოქმედთა კონკურსში დაჯილდოვდა სიგელით (2016 წ), გიდების კონკურსში „ჩემი სოფელი“ დაჯილდოვდა სიგელით (2016 წ.), ევროკავშირის პროექტში—„ვუერთდებით ევროპას“ აიღო პირველი ადგილი, მიიწვიეს საბერძნეთში, სადაც სკოლის დირექტორი შორენა აბესაძეც იმყოფებოდა, ევროპის მასშტაბით აიღო მესამე ადგილი (2015 წელი), კონკურსში „გალაკტიონობა“, სადაც წაიკითხა საკუთარი ლექსი, გადაეცა დიპლომი (2015 წელი).

დაამთავრა ნაგარევის საჯარო სკოლა ოქროს მედალზე, ჩაირიცხა გრანტით აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის და სამართლის და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე სამართლის სპეციალობით.

ჩაბარებული აქვს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა, არის ტრენინგის „პროექტის მართვა-ადვოკატირება და ახალგაზრდობის ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში“ მონაწილე, ორივე შემთხვევაში მიღებული აქვს სერთიფიკატი. მონაწილეობდა სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია მეორის სტუდენტურ ლიტერატურულ ფესტივალში „სიკეთის ხე“, სადაც გაიმარჯვა, როგორც საუკეთესო მინიატურის და ნოველის ავტორმა (2018 წ). გავლილი აქვს ექვსთვიანი სტაჟირება საიას ქუთაისის ფილიალში ადვოკატის თანაშემწის პოზიციაზე (2019 წ), ექვსთვიანი სტაჟირება პერსონალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტში ევექსის ჰოსპიტალის ქსელში (2020), გავლილი აქვს საქ. ცენტრალური საარჩევნო განვითარების სკოლის სასწავლო კურსი (2021 წ), დამთავრებული აქვს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, სწავლას აგრძელებს მაგისტრატურაზე. მკითხველს არ უყვარს ასეთი მშრალი ჩამონათვალი, მაგრამ ამ ჩამონათვალით ვადასტურებ, რომ მარიამს აწევს მრავალმხრივი განათლება, შეუძლია იმუშაოს არა ერთ პოზიციაზე, რთულ დარგებში, ამჟამად მარიამი შპს საქართველოს ფოსტაში მუშაობს, იყო გაყიდვების ოპერატორი, ახლა კი ბექ-ოპერატორის თანამდებობაზე მუშაობს.

უპირველესი დანიშნულება...

მარიამ მარგველაშვილის ყველაზე დიდი საქმე მაინც ოჯახია, იგი დედაა, ჯერჯერობით წლისა და სამი თვის ლუკას ზრდის, მეუღლე მანუჩარ ჩუბინიძესთან ერთად. ბატონი მანუჩარი პროფესიით იურისტია, მუშაობს გარემოს დაცვის დეპარტამენტში.

მარიამ მარგველაშვილი სულ რაღაც 24 წლისაა... წინ დიდი გზა აქვს. იგი კვლავაც მიიღებს განათლებას, კვლავ გაჩნდებიან შვილები და დაიწერება ნოველა, მინიატურა, ლექსი, აი ასეთი: ერთხელ მესიზმრა გალაკტიონი და ზარი რეკდა მაშინ სიონის, ღელავდა, ქუხდა მძლავრად იორი, დიდ ღმერთთან იდგა გალაკტიონი. იორს ბანს სცემდა წყნარი რიონი, დღე ჭიხვინებდა როგორც თეთრონი, მზეზე ბრწყინავდა კავკასიონი, ჩანგს აჟღერებდა გალაკტიონი. არსად არ ჩანდა თითქოს ზღვის ფონი, გზა იყო ვიწრო და ძალზე შორი, მოციქულებთან უფლის სიონში სიყვარულს თესდა გალაკტიონი და სითბო იდგა ახლა მის სულში, ღვთიური სხივი ბრწყინავდა გულში, გალაკტიონი წვერს ისწორებდა, თვალში ცრემლები ედგა მტევნებად. ჟღერდა სიმღერა საქართველოსი და იღვრებოდა შუქი სიონის, მშობელ ერსა და მშობლიურ მიწას ღმერთს ავედრებდა გალაკტიონი.

სკოლა და ოჯახი— ერთიანი თანამოღვაწეობა

ოჯახი და სკოლა მოზარდის სწავლა-აღზრდის, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების სფეროებია, სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი მარიამის ინტერესებს, მისწრაფებებს, იდეალებს, ღირებულებებს. აქ დაეუფლა იგი მეცნიერული ცოდნის საფუძვლებს, გამოიმუშავა მსოფლმხედველობა, ცხოვრების მრწამსი, ჩამოყალიბდა მისი ხასიათი და შეიძინა გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება.

ოჯახში კი—დედა—ინგა ალფაიძე, ჟურნალისტი, მასწავლებელი და ნაგარევის საბავშვო ბაღის დირექტორი, მამა-კობა მარგველაშვილი, თერჯოლის წყალმომარაგების თანამშრომელი. უქმნიდნენ პირობებს ცხოვრების პირველი სკოლა გაევლო სწორად, საზოგადოების განვითარების ამოცანების და მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლამ და ოჯახმა შეასრულეს ის, რისთვისაც არიან მოწოდებულნი.

შორენა აბესაძე—ნაგარევის სკოლის დირექტორი—მარიამი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო, მრავალი წარმატება ჰქონია, მაგრამ მნიშვნელოვანი მაინც 2015 წელი იყო. ამ წელს საქართველომ, ასოციაცია ბალავარის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონკურსში EUROMATH 2015, საქართველოში კონკურსი რამდენიმე ეტაპად ჩატარდა, გამარჯვებულთა ნამუშევრები გაიგზავნა საბერძნეთში, საიდანაც 5 ნომერი მიწვეულ იქნა ფინალურ ტურზე. საქართველოში გამარჯვებულ 12 კონკურსანტს შორის იყო ნაგარევის საჯარო სკოლის მოსწავლე, მარიამ მარგველაშვილი.

კონკურსის ერთ-ერთ მიმართულებაში MATHFACTOR მარიამს წარმოდგენილი ჰქონდა 3 წუთიანი პრეზენტაცია, სადაც ცნობილ მათემატიკურ დებულებას თვალსაჩინოს ხდიდა, გამჭვირვალე დრეკადი ლისტებიტა და შაქრის პუდრის გამოყენებით. კონკურსის ფინალში მარიამმა ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა და მე-3 ადგილი დაიკავა.

მარიამის კიდევ ერთი ლექსი

„ენაა ჩემი ცისკარი“, „ტყემლების შემოთოვება, ატმების შემოცინება, ნიავის შემოკრთომება, ვარსკვლავთა შემობრწყინება, რძესავით გადმოღვარული მთის წყაროს ჩაკისკისება, ბროწეულების ყვავილთა ახანძრ-აგიზგიზება. ზეცა ვარდების მთოველი, მიწა ლამაზი ღვთიური, ენა ჩვენ ხატად ქცეული, „ლილე“, „ჩაკრულო“, „ურმული“ ტკბილი და მშობლიური. სევდა, როდესაც მომეპარება, როს დღე გადნება სხივით ნაფერი, ქრება ღიმილი, ის უკვდავება, და დედა ენის ჩუმი ღიმილი. ლურჯია, როგორც სიზმარი, ზღაპარი, როგორც ედემი, ენაა ჩემი ცისკარი, ჩემი რწმენა და იმედი...

ასეთია მარიამი დღეს, საოცარი გოგო, დედა, მეუღლე, ღირსეული თანამშრომელი, მოჰყვება ბავშვობისდროინდელი წარმატებები, ელოდება უკეთესი. მარიამს უყვარს ყველაფერი ღირსეული, ამაღლებული, მისაბაძი, უყვარს მამული და ეს ყველაფერი ნათქვამი აქვს ლექსებში, ნოველებში, მინიატურებში, „ენაა მისი ცისკარი, რწმენაც და იმედიც“.

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენ და ამინდი ანუ...

ჩვენი წინაპრები ივნისს (ანუ ივანობისთვეს) „ჩოხადამპალად“ მოიხსენებდნენ ხშირი წვიმების გამო, ხოლო ივლისი მშრალი, გვალვიანი მახასიათებლებით იყო ცნობილი.

წელს „რა მოილაპარაკეს“ ერთმანეთში არავინ იცის,—ივნისმა შედარებით მოკრძალებული, უწყინარი ამინდებით წარმოგვიდგინა თავი...

ივლისმა კი, როგორც ვიტყვით ხოლმე, „მოაღო პირი“ და თუ რამ წყლის მარაგი გააჩნდა—ცამ ერთბაშად ჩამოუშვა, რასაც, რა თქმა უნდა, თავის მავნე შედეგები მოჰყვა... ვის სარდაფში შეუვარდა წყალი და წასახდენი წაახდინა, მცენარეულობა, ნახნავ-ნათესი დატბორა და დააზიანა, ხიდ-ბოგირებს, შენობა-ნაგებობას ზოგადად ინფრასტრუქტურას აჩვენა გაავებული მტარვალის ხელი...

ასეა, ბუნება გზადაგზა იცლის ხოლმე მზაკვრობისთვის.

და...ეს ყველაფერი უნდა გვახსოვდეს.

კი, გასაგებია, რომ ბუნება მბრძანებელია, მაგრამ მას საზრიანი ქმედებები უნდა დავუპირისპიროთ. მკლავის ძალაც უნდა ვაჩვენოთ. აბა, როგორ!

კიდევ მეტად, და კიდევ მეტად, უნდა დავუდგეთ ზენარიის ყოველ გამოცდას...

ვაღიაროთ ბუნების ძალა, მაგრამ ისიც ვანახოთ, რომ გულხელდაკრეფილი როდი ვართ! რომ გვაქვს ძალა ქადილისა—არ დავნებდეთ! რომ გვაქვს უნარი, ძალაც გვეხელწიფება, რომ დანგრეულ-იავარქმნილი აღვადგინოთ! რომ, კიდევ უფრო გამძლე და ამტანი გარემო შევქმნათ.

მთავარია ადამიანებმა ხელი-ხელს გავუწოდოთ. ყოველი განსაცდელის ჟამს, უფრო მეტი ორგანიზებულობა დავუპირისპიროთ ყოველი „მბრძანებლის“ მავნე ცელქობას.

ვიყოთ ფრთხილად. პერიოდულად, დროდადრო დაკვირვებული თვალი შევავლოთ—ხომ არ გვრჩება რაიმე უყურადღებოდ?

ნუ დაველოდებით კარნახს, როდის, როგორ და რანაირად გავასუფთაოთ წყალსაშ-



ვი არხი, ღობე თუ ყორე, ჩვენი საკეთებელი საქმე ჩვენვე გავაკეთოთ. სხვისი „ჯინით“ ბედის ანაბარად ნუ მივატოვებთ იმას, რისი გაკეთებაც ჩვენვე შეგვიძლია.

ვაკონტროლოთ გარემო. ცისკენაც ავიხედოთ ხანდახან.

ოღონდაც—ვიყოთ ერთად. ვიყოთ ყურადღებით.

კრიტიკულ ზღვრამდე ნუ მივიყვანთ გასაკეთებელ საქმეს.

ხომ დაგვერწმუნებით, იმაში, რომ ის კაცი არ ვარგა, ვინც სოფელში ცხოვრობს და სოფლისთვის არ ზრუნავს...

პოეტმა უფრო ხატოვნად და გასაგებად თქვა...

აბა, გაიხსენეთ...

ნუგზარ იშხნელი

გილოცავთ!

გულითადად ვულოცავთ ჩვენს მეგობარსა და კოლეგას იუზა მარუაშვილსა და დამსახურებულ პედაგოგს ქალბატონ ლია გოცირიძეს მესამე ვაჟიშვილის ვანოსა და აწ უკვე მათი დიდი ოჯახის წევრის თეო გაბუნიას შეუღლებას.

გვიხარია და სიამოვნებას გვანიჭებს ამ ორი ზრდილი ახალგაზრდის ცხოვრებაში შეხვედრა... გვახარებს, რომ ისინი ამასთან ერთად ღირსეული და კვალიფიციური სპეციალისტებიც არიან.

მშვიდობა და დიდი სიყვარული გქონოდეთ თქვენი ცხოვრების გზაზე... ძეობებიც გიმრავლოთ და ლამაზი ასულებიც შეგძინოთ უფალმა!

მრავალჟამიერ!

გაზეთი „თერჯოლა“

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება: გ-29. 29232142

02 / 08 / 2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ 2008 წელს რუსეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ტრაგიკულად დაღუპული ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, სერჟანტი ვალერი გოგნაძე არის საზოგადო მოღვაწე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს წინაშე სამშობლოს დაცვის საქმეში. შესაბამისად, ვალერი გოგნაძის სახელის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მაცხოვრებლების 2022 წლის 29 სექტემბრის N19 / 29222721-29 განცხადების თანახმად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 19 ივნისის სხდომის N 37 ოქმის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვალერი გოგნაძის სახელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველ ქუჩას.

x	y
333317.3	333909.1
4670859.6	4670347.3

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც 4 თვის ვადაში უზრუნველყოფს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას (აბრების, რუკების, ცნობარების და სხვა დამზადებას, კორექტირებას, გავრცელებას და ა.შ)

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიას, გარდაცვლილის ოჯახს, საინიციატივო ჯგუფს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

მუხლი 4. განკარგულება გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავითი გოგბერაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ქართულ-უკრაინული ოჯახი და ახალი სიცოცხლე

ალისუბნელ სანდრო შუღლაძეს, რომელიც წლების განმავლობაში უკრაინაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოში ყოფნისას მოუსწრო. სანდროს მეუღლე, უკრაინელი ალექსანდრა კოვალენკო, ხარკოვში დარჩა, ცოტა მოგვიანებით გეგმავდნენ ალექსანდრას საქართველოში ჩამოყვანას, მაგრამ ომმა გეგმები შეცვალა.

ალისუბანში, დათო შუღლაძის და მადონა ქოჩიაშვილის ოჯახში იზრდებოდა სანდრო და პატარაობიდანვე ფეხბურთმა გაიტაცა. მამამ თერჯოლის სპორტულ სკოლაში მიიყვანა, სადაც დიდი გამოცდილება შეიძინა. მერე ბატონმა დათომ, რომელიც უკრაინაში მუშაობდა, შვილიც წაიყვანა და სანდრომ უკრაინაში, კერძოდ ყირიმში, გააგრძელა სპორტული საქმიანობა. სანდროს დედა მადონა ქოჩიაშვილი, ალისუბნის საბავშვო ბაღის დირექტორი, დედასთან, ნაირა ჩინჩალაძესთან, რომელიც პარტიის რაიკომში მუშაობდა, ხშირად დადიოდა, მადონა ფაქტიურად ჩვენს გვერდით გაიზარდა, თავად ერთი ციცქნა იყო და „ჩემი ჩალის ღეროო“ ახლაც ასე მეძახის. მადონა ადრე გათხოვდა, დათომ და მადონამ სამი შვილი—მიშიკო, სანდრო და საბა გაზარდეს. ამჯერად საუბარი გვექნება სანდროს ქართულ-უკრაინულ ოჯახზე, აქ დაბადებულ სოფოზე, რომელიც ჯერ კიდევ მუცლადმყოფი ლტოლვილად იქცა.

სანდროს ნიჭი და ფეხბურთთან მისი დამოკიდებულება მალე შეუნიშნავს იქაურ მწვრთნელს და იგი 1990-91 წლიანი ბიჭებით დაკომპლექტებულ გუნდში გადაუყვანია. მერე სანდრომ სევასტოპოლის საფეხბურთო სკოლა-აკადემია დაამთავრა და მალე გადავიდა ქალაქის უმაღლესი ლიგის გუნდში, საიდანაც მიიწვიეს მოლდავეთის უმაღლესი ლიგის „ისკრას სტილის“ გუნდში.

მოლდავეთში გაიცნო სანდრომ უკრაინელი ალექსანდრა კოვალენკო, რომელიც მშობლებთან, ზინაიდა შევჩენკოსთან და ევგენი კოვალენკოსთან ერთად, ცხოვრობდა ჯერ ყირგიზეთში, მერე ხარკოვში.

ალექსანდრას და სანდროს სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. მერე ომი დაიწყო, სრულმაშტაბიანი და დამპყრობლური, დაიწყო ლტოლვილობის ურთულესი პროცესი.

ალისუბნელების რძალი

ალექსანდრას დამთავრებული აქვს ხარკოვის უნივერსიტეტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, მუშაობდა ფარმაკოლოგიურ ქარხანაში ტექნოლოგ-ქიმიკოსად, ომის დაწყების შემდეგ ფეხმძიმე ალექსანდრამ დატოვა ხარკოვი და მეუღლესთან ჩამოვიდა. აქ დაიბადა მშვენიერი, თვალებბრიალა გოგო-სოფო.

თერჯოლას თავშეფარებული უკრაინელი ქალბატონი

როცა ომმა ფართო ხასიათი მიიღო, დაიწყო უკრაინელი ქალაქების ნგრევა, ალექსანდრას დედამ ზინაიდა შევჩენკო—კოვალენკომ შვილის მეუღლის ოჯახს შეაფარა თავი. დიდი წვალებით გადასულა ქალბატონი ზინაიდა ჯერ პოლონეთში, მერე საქართველოში, სადაც სანდროს დიდი ოჯახი ელოდა. „თავშესაფარი“-ო ვამბობ ისე, სიტყვის მასალად, ქალბატონი ზინაიდა თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, აღარც სტუმრად ითვლება, დათო შუღლაძის და სანდროს ბებიის ნაირა ჩინჩალაძის ოჯახი ორივე „მისია“, დიდ პატივში ჰყავთ, მაგრამ ცხადია ენატრება მშობლიური უკრაინა, ხარკოვი, ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები. ამბობს, რომ კმაყოფილია ქართული სტუმართმოყვარეობით, ბევრი იცოდა საქართველოზე, მის კულტურაზე, ადამიანებზე, მაგრამ ნანახი და განცდილი სხვაა.

ქალბატონი ზინაიდა ინტერესით ეცნობა თერჯოლას, სვამს კითხვებს, ინტერესით ისმენს პასუხებს, დაწვრილებით ცნობებს იღებს უკრაინიდან, მისი ოცნება დაბრუნებაა.

***

ცხოვრობს ალისუბანში დათო შუღლაძის ძლიერი, შრომისმოყვარე ოჯახი, სანდრო და ალექსანდრა, მათი ათი თვის სოფოც აქ არის და სანდრო ცდილობს ნელ-ნელა, თავიდან ააწყოს საქმე, გამოცდილია სპორტულ საქმიანობაში, ხელს უწყობს ამ კუთხით მიღებული მრავალმხრივი განათლება, ისიც, რომ ტრენერთა საერთაშორისო სასწავლებელი აქვს დამთავრებული და თერჯოლაში ჰყავს ფეხბურთის მოყვარულთა კერძო ჯგუფი... მაგრამ ცხადია ეს საკმარისი არ არის, ახალი ცხოვრების დასაწყებად აქვს გეგმები და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების იმედი.

***

მალე დადგება დრო, დამთავრდება რუსეთ-უკრაინის ომი, გაიმარჯვებს სიმართლე და აღორძინდება უკრაინა, მშვიდობა დაისადგურებს უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში და გულში, დაბრუნდებიან ლტოლვილები, ისინი კვლავ ერთ „ჭერქვეშ“ შეიკრიბებიან და მოშუშდება იარები, მაგრამ მაინც დარჩება ტკივილი და ხსოვნის ნათელი უკრაინელი გმირების დაღუპვის გამო, მათ უკრაინა და არა მარტო უკრაინა, არ დაივიწყებს.

სანდრო და ალექსანდრაც განსაზღვრავენ მომავალს.

ჟუჟუნა ცხადაძე

სპორტული თერჯოლა

ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა სპორტსმენები წლევანდელ წელსაც გვახარებენ წარმატებებით, რაც მათი და მწვრთნელ-აღმზრდელების დიდი დამსახურებაა. აქ მნიშვნელოვანია, რომ რაიონის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების განვითარებისათვის ძალისხმევას არ ზოგავენ მუნიციპალიტეტის მერია და მისი სამსახურები.

ცალკე სასაუბრო თემაა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სპორტის განვითარებას, ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინებას და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას.

ივნის-ივლისში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი, თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი ჩხეიძე მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენებს შეხვდნენ. სპორტულ სარბიელზე მოპოვებული წარმატებები მიულოცეს და შემდგომი გამარჯვებები უსურვეს.

მკითხველს ვაუწყებთ, რომ ჩვიდმეტწლამდელთა შორის იური ჩაფიძე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო—ევროპის ჩემპიონატზე მეორე იყო.

მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, სპორტული პროგრამების დაფინანსების ფარგლებში მას 1500 ლარი გადაეცემა. ამავე პროგრამის ფარგლებში დაჯილდოვდება მწვრთნელი გიგა ჩაფიძე.

სასიხარულოა, რომ თბილისის „დინამოს“ აკადემიის შემაჯამებელ საზაფხულო ფესტივალზე—12-წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის თერჯოლის „საპოვნელამ“, რომელსაც წარსულში „საპოვნელას“ ყოფილი ფეხბურთელი დიმა არეშიძე წვრთნის—პირველი ადგილი დაიკავა.

ეს კარგის ნიშანია!.. მომავალზე ფიქრის შანსს გვაძლევს.

სასიამოვნო ჩანართი: თერჯოლელ ფეხბურთის მოყვარულებს იმითაც გავახარებთ, რომ „დინამოს“ აკადემიაში თხუთმეტწლამდე ასაკის მქონეთა გუნდის კაპიტანი თერჯოლელი შოთა დიაკონიძე ყოფილა.

ბატონი მანუჩარი, გოდოგნის მაჟორიტარ დეპუტატ გრიგოლ გიორგაძესთან და სპორტსკოლის დირექტორთან ირაკლი ჩხეიძესთან ერთად, შეხვდა მკლავჭიდელ გიორგი ამბროლაძეს მიულოცა ევროპის ჩემპიონობა, ოქროს მედალი და მერიისაგან ფულადი ჯილდო გადასცა. ასევე გამარჯვება მიულოცეს და ფულადი პრიზი გადასცეს ნიკოლოზ ბრეგვაძეს და ზურაბ გავაშელაშვილს, ჭაბუკთა შორის უმცროსი ასაკის „საქართველოს 2023 წლის პირველობა სამბოში“ პრიზიორებს.

***

თერჯოლის მერია კვლავაც შეუწყობს ხელს ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლინებას. იზრუნებს მათი წრთობისათვის ნორმალური გარემოს შესაქმნელად. ეს თერჯოლის სპორტულ ტრადიციებშია.

ამ ყველაფერს წარსული, აწმყო და მომავალი გვკარნახობს.

წინ ახალი წარმატებებია.

ნ. გამყრელიძე

წარმატებით აგრძელებენ სპორტულ გამოსვლებს თერჯოლელი მოსწავლე-სპორტსმენები.

სპორტული სკოლის და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელების მიერ მოპოვებულ შედეგებზე ინფორმაციას გვაწვდის სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი ელგუჯა გოგბერაშვილი.

ქალაქი წყალტუბო. ბეთქილ გულბანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

გიორგი რობაქიძე, 50 კგ. მესამე ადგილი, თამარ ზარნაძე, 50 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქი ზესტაფონი. რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

ნიკოლოზ რობაქიძე, 28 კგ. მეორე ადგილი, საბა ხუჯაძე 24 კგ. მესამე ადგილი, რეზო ხაჭაპურიძე, 21 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქი ქუთაისი. მსოფლიო ჩემპიონის გენადი ჩირგაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

საბა სულამანიძე, 50 კგ. პირველი ადგილი, გიორგი ლომიტაშვილი, 46 კგ. მეორე ადგილი, ილია რობაქიძე, 46 კგ. მესამე ადგილი, ვახო ობოლაძე, 55 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქი ვანი. ანრი გიორგაძის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

ზურა ბოჭორიშვილი, 28 კგ. პირველი ადგილი, ილია რობაქიძე, 46 კგ. მეორე ადგილი, გიორგი ლომსაძე, 32 კგ. მესამე ადგილი, იოსებ კუბლაშვილი, 55 კგ. მესამე ადგილი, საბა სულამანიძე, 50 კგ. მესამე ადგილი, დათო ხუჯაძე, 66 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქი მცხეთა. ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

კობა ფანჩულიძე, 55 კგ. მესამე ადგილი, საბა კუტალაძე, 38 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქი ბაღდათი. ლევან ებანოიძის და ავთანდილ გურგენიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

საბა მაჩიტიძე, 85 კგ. მეორე ადგილი.

ქალაქი ქუთაისი. ქუთაისის 10-ე ღია ჩემპიონატი „უშუში“.

გიორგი აბჟანდაძე, 80 კგ. პირველი ადგილი, ლუკა ფანჩულიძე, 70 კგ. მეორე ადგილი, გიორგი რობაქიძე, 65 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქი კასპი. საქართველოს ჩემპიოინატი კინგ-ბოქსინგში.

რამაზ ბარდაველიძე, 51 კგ. მესამე ადგილი, მათე ქუთათელაძე, 46 კგ. მესამე ადგილი.

ქალაქ ბათუმში ჩატარდა თენგიზ ბოლქვაძის სახელობის ღია პირველობა სპორტულ აკრობატიკაში.

ჩემპიონები გახდნენ მოზარდთა 2-თანრიგოსანთა შორის ნია ჭანტურიძე და ლიზი ექსეულიძე.

ბიჭების წყვილთა შორის მეორე ადგილი დაიკავეს ნიკოლოზ ბუცხრიკიძემ და ლუკა ტყავაძემ.

მესამე ადგილზე გავიდნენ გოგონათა წყვილი ირინა გეწაძე და ანი ქოჩიაშვილი. სამეულთა შორის მესამე ადგილი დაიკავეს ბარბარე მარუაშვილმა, მარი მოდებაძემ და ნინი სახელაშვილმა.

ქალაქი ონი. გიორგი სხირტლაძის და შურა მაისურაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ვაჩე რობაქიძე, 44 კგ. მეორე ადგილი.

გუნდები შეჯიბრებისთვის მოამზადეს: **ლერი რობაქიძემ, ზურა ჩაფიჩაძემ, მალხაზ თურქაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, დიმიტრი რობაქიძემ, გიორგი კირკიტაძემ, ირაკლი ღონღაძემ, ლალი დიაკონიძემ, შაქრო ბერძენიშვილმა.**

შემოდგომა გვიახლოვდება! ვემზადებით?

შემოდგომის ფორიაქი!

მოუსვენარი, შრომატევადი...

შემოდგომისას ვლინდება ყველაზე მეტად ვინა ვართ, რანი ვართ, როგორ ვიღვაწეთ? ვართ თუ არა მზად ცივ და მოუსაფარ ზამთარს დავუდგეთ?

კი, რა თქმა უნდა მას თავის ხიბლიც ახლავს, მაგრამ სიცივის ფაქტორი მაინც გვაიძულებს (გვიბიძგებს) შევუძახოთ, რომ ველით! რომ მზად ვართ დავუდგეთ ნებისმიერ გამოწვევას.

გვახსოვდეს ვისი გორისანი ვართ და საიდან მოვდივართ.

ქართველი კაცის უხვი მარანი და გულითადი შემოპატიჟება მარად იქნება მოკეთეთა ნავთსაყუდარი!

ბედნიერ და უხვ რთველობას გისურვებთ. სიკეთე მოგმადლოთ!

კროსვორდი
საშემოდგომო მოტივები



1. დასახლებული ადგილი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს. 2. მცენარეული პროდუქციის მთელი რაოდენობა. 3. ადამიანის მიზანშეწონილი ფიზიკური თუ გონებრივი მოქმედება. 4. წელიწადის დრო ზამთარსა და ზაფხულს შორის. 5. მარცვლეულის დაფქვის საზღაური. 6. ყურძნის ნაწური. 7. ყურძნის ჯიში. 8. მიწის მუშა, რომელიც ხვნის დროს გუთანს მისდევდა. 9. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი. 10. შიოს...11. გუთნის დედის სიმღერა. 12. მარცვლეული მცენარე, რომელიც იკეთებს მარცვლებს. 13. ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე. 14. ადათი, ანუ... 15. ყურძნის კრეფის დრო. 16. ნაკვეთი, სადაც გაშენებულია ვაზი. 17. ღვინის შესანახი თიხის ჭურჭელი. 18. ყურძნის წვენი შესანახად მოდუღებული. 19. ყურძნის ჯიში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. მარშრუტი. 2. ტურიზმი. 3. კარუგდებელი. 4. ჩიხორი. 5. დედაღვთისა. 6. მაჩიტაურის. 7. ქვერუნის. 8. ალისუბნის. 9. მღვიმე. 10. სიქთარვის. 11. გუდიელის. 12. რუფოთი. 13. თერჯოლა. 14. სიმონეთი. 15. სამლოცველო. 16. სიქთარვა. 17. გოფანმთა. 18. ციხე. 19. პასპორტი. 20. სკანდე. 21. კოსტანტინე კახის. 22. საგვარჯილე. 23. ჟინვალი. 24. ეკლარა. 25. უდაბნო. 26. ნაკვალევი. 27. თერჯოლა.

ნუგზარ აბულაძის გახსენება

ჩემო ძვირფასო ნუგზარ, 27 წელი შესრულდა პეტრე-პავლობას, რაც სამუდამოდ წახვედი შენი ოჯახიდან. ვაი იმ დღის მოგონებას, მთელი ეზო სავსე იყო ხალხით, ფეხს არ იცვლიდნენ, არც ერთი სახლში არ მიდიოდა. მიკვირდა ძალიან „ნუთუ ამ ხალხს სახლში საქმე არა აქვთ-თქო?“ მე ერთი წუთითაც არ მიფიქრია: თუ ის ღამე იყო შენი წასვლის ღამე. ამბობენ: „დრო მკურნალიაო“—არა ჩემო ნუგზარ, ამ გულს ვერ განკურნავს ვერავითარი დრო. მაგრამ ძალაუნებურად ეგუება ადამიანი, მეტი გზა არ არის და აბა რა მოიმოქმედოს. არ მეგონა ნამდვილად ამდენ ხანს თუ უშენოდ ვიცოცხლებდი... მაგრამ ჩემი ნება არ არის. გაჩენა არ მიკითხია და სიკვდილი ვის ვკითხო!

27 წელი გავიდა—ისევ ისე მტკივა გული,
ძნელი არის მეუღლისგან, ქალი რომ არს დაჩაგრული,
ისე ძაან მენატრება შენი ხმა, შენი დანახვა
თუ რომ შენთან ვიქნებოდი, სიკვდილზეც ვარ თანახმა.

სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, სადაც მართალნი განისვენებენ! ამინ.

მზია აბულაძე

„გეკაფოთ-რაც ულრანია, აგევსოთ რაც ხარვეზია“...

გალაკტიონი

დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენს გაზეთს რაღაც სამახსოვრო გაგვეკეთებინა ჩვენი საჯარო სკოლების 2023 წლის კურსდამთავრებულებისათვის...

გადავწყვიტეთ, რომ გულწრფელ მილოცვასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ ყველა კურსდამთავრებულთა ჯგუფურ იმ სურათებსაც გამოვაქვეყნებდით, რომლებიც მათ ბოლო ზარის დღეს გადაიღეს...

გაზეთის წინა ნომრებში ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ გოდოგნის, გოგნის, ეწრის, ბარდუბნის, რუფოთის, ჩხარის, ზედა სიმონეთის, ჭოგნარის, ძევრის, ქვ. სიმონეთის №1 და ღვანკითის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა სურათები, რასაც კარგი გამოხმაურება მოჰყვა.

ამჯერად გთავაზობთ ახალთერჯოლის, ნახშირღელის, თუზის, ჩხარის №1, ქვ. სიმონეთის №2 და ნაგარევის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა ფოტოებს.

წარმატებების გზით გევლოთ!..

„თერჯოლა“

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა

ჩხარის №1 საჯარო სკოლა

ნახშირღელის საჯარო სკოლა

ქვ. სიმონეთის №2 საჯარო სკოლა

თუზის საჯარო სკოლა

ნაგარევის საჯარო სკოლა

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872